ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ი-19/011707954 2-17

"20" 06 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა, №3-ში (საკ. კოდი №01.12.08.037.022) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1708090 30.01.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი - ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა, №3-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. შეცვლილია გრუნტის ნიშნული. შეცვლილია ლამპიონების ფორმა, რაოდენობა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია ღობის ფორმა. შეცვლილია სათამაშო მოედნის ფორმა და დამატებულია ლითონის მოაჯირი. შეცვლილია პანდუსის ფორმა. შეცვლილია დამხმარე ნაგებობის გაბარიტი. შეცვლილია სადარბაზოს კიბის საფეხურების რაოდენობა. ლიფტების შახტების თავზე დამატებულია ფილა.

ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები, გამათბობლის ქვაბები და სატელიტური თეფშები. დამატებულია წყლის მილები. „7-5" მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს ღიობების გაბარიტი და ადგილმდებარეობა.

-3.10 ნიშნულზე „ა-ე" მონაკვეთში დამატებულია ლითონის კონსტრუქციები. ლიფტთან დამატებულია საფეხურები. „ე-ზ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა.

±0.00 ნიშნულზე შეცვლილია შ.შ.შ. პირთა პანდუსიების ფორმა და გაბარიტი. გაზრდილია გარე კიბის საფეხურების რაოდენობა.

„1-11" ფასადი: პირველ სართულზე შეცვლილია ლითონის მოაჯირის გაბარიტი. „1-3" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბის საფეხურები. „1-2" მონაკვეთში ვიტრაჟებზე გაუქმებულია მოაჯირები. „1-1" ღერძის გარეთ შეცვლილია გადახურვის კონსტრუქცია. „6-8" მონაკვეთში შეცვლილია რუსტის ლესვის ნახატი. „7-8" მონაკვეთში +36.00 ნიშნულზე აივანზე დამატებულია ტიხარი. „9-11" მონაკვეთში შეცვლილია ღიობების გაბარიტი და ნახატი. +32.70 ნიშნულზე დამატებულია ლითონის მოაჯირი. +22.80 ნიშნულზე „8-11" მონაკვეთში გაუქმებულია გადახურვა და ლითონის ცხაურები. +26.10 ნიშნულზე „8-11" მონაკვეთში არ არის დასრულებული გადახურვის მოწყობა. შეცვლილია ლითონის ცხაურების გაბარიტი და ფერი. „9-10" მონაკვეთში დამატებულია ლითონის ცხაური.

„11-1" ფასადი: შენობის ძირი არ არის გალესილი და შეღებილი. სადარბაზოს კიბეების ქვეშ დამატებულია რიგელები. შეცვლილია ღიობების ადგილმდებარეობა. „8-6" და „5-3" მონაკვეთში +36.00 ნიშნულზე დამატებულია ლითონის ცხაურები. „10-9" მონაკვეთში დამატებულია აივნის გადახურვა. +32.70 ნიშნულზე 10-9" მონაკვეთში დამატებულია გისოსები. +0.00 ნიშნულზე „10-10" ღერძის გარეთ დამატებულია გისოსები. +19.50 ნიშნულზე გაუქმებულია ფანჯარა.

„კ-ა" ფასადი: დამატებულია სარეკლამო აბრები. „ზ-ზ" ღერძთან ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს გადახურვის ფორმა და მასალა. „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია ღიობების ნახატი.

„ა-კ" ფასადი: +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების ნახატი. „თ-ი" მონაკვეთში დამატებულია გისოსები. „თ-კ" მონაკვეთში +19.50 ნიშნულზე შემცირებულია ღიობების გაბარიტი და დამატებულია გისოსი. „გ-დ" მონაკვეთში +22.80 მონაკვეთში გაუქმებულია აივნის გადახურვა. „ე-ე" ღერძზე +26.10 ნიშნულის ზევით შეცვლილია კედლის ფორმა. „დ-ე" მონაკვეთში +29.40 ნიშნულზე „გ-ე" მონაკვეთში

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შემცირებულია კედლების სიმაღლე: +32.70 ნიშნულზე „ი-ი" ღერძთან დამატებულია გისოსები.
საყრდენი კედელი, ღობე და ბეტონის ბორდიური სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ,

1. იბა "ამხანაგობა 2007"-ს, ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თ. ერისთავის ქუჩა, №3-ში (საკ. კოდი №01.12.08.037.022) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117079542-17 20.03.2017წ. განცხადება.
№წ-19/0117079542-17 22.03.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე